

## შიდა გამოცდაზე ქცევის და შეფასების წესი

- ბტუ-ში შიდა გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ რეგისტრაცია გავლილი მაგისტრანტობის კანდიდატები;
- გამოცდაზე დასაშვებად წარსადგენია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გამოცდაზე (თუნდაც საპატიო მიზეზით) გამოუცხადებლობის შემთხვევაში პირს არ აქვს უფლება მოითხოვოს დამატებითი გამოცდის დანიშვნა და ჩატარება;
- გამოცდაზე დაგვიანების შემთხვევაში პირი კარგავს გამოცდაზე შესვლის უფლებას, გამოცდაზე წესების დარღვევის შემთხვევაში - გამოცდის დასრულების უფლებას;
- ბტუ-ში გამოცდის დადგენილი დროის ლიმიტი. პირს არ აქვს დადგენილი დროის ლიმიტის გაზრდის მოთხოვნის ან თვითნებურად გადაჭარბების უფლება;
- ბტუ-ში გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარებისა და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები, საწერი კალამი და სხვ.) ნივთების შემოტანა;
- ბტუ-ში აკრძალულია: გამოცდაზე დაგვიანება, არანებადართული ნივთების (სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს, ნებისმიერი სახის ჩანაწერების, მობილური ტელეფონის, ნოუტბუქის, ყურსასმენების ან სხვა ხელსაწყოების) შეტანა ან გამოყენების მცდელობა, ქურთუკით, ქუდით ან თავსაბურავით შემოსვლა, დაწყებული გამოცდის უნებართოდ მიტოვება, საგამოცდო ფურცლის დაზიანება (მათ შორის, რაიმე სახის მინაწერის/წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალების შესრულებასთან), გაფრთხილების მიუხედავად წესრიგის დარღვევად მიჩნეული ქმედების (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა/მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა ან სხვ.) ჩადენა, გამოცდის ჩაშლის მცდელობა ან წესრიგის დარღვევად მიჩნეული სხვა ქმედების ჩადენა. ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი კარგავს დაწყებული გამოცდის გაგრძელების/დასრულების შესაძლებლობას;
- საგამოცდო ფურცლის დაზიანების შემთხვევაში არ მოხდება ნაშრომის შემოწმება;
- საგამოცდო ბილეთები წარმოდგენილია ვარიანტების სახით, ბილეთები მოიცავენ იდენტური რაოდენობის და სირთულის საკითხებს/დავალებებს, რომლებიც ფასდება ქულებით. გამოცდის მაქსიმალური შემაჯამებელი ქულა მიიღება საგამოცდო ბილეთის ყველა საკითხზე სწორი პასუხის გაცემის/ყველა დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში (გამოცდა დამლეულად ითვლება მაქსიმალური შესაძლო ქულიდან არანაკლებ 50%-ის მიღების შემთხვევაში);
- მაგისტრანტობის კანდიდატები ვალდებული არიან, დაიცვან აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევით შესრულებული ნაშრომი არ ექვემდებარება შეფასებას;
- მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, შეუძლია ბტუ-ს მიერ დადგენილ ვადაში გაასაჩავროს გამოცდის შედეგი (მიღებული შეფასება).